ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N73

2025 წელი; 15 აპრილი; 11:00 სთ; ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
მარიამ გელაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
გიორგი ონიანი

მოწვეული პირები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **ნიკოლოზ ჭონქაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. **გოგი ჩიქოვანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
5. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
6. **თათია ბარაქაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
7. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი;
8. **დავით ლინჩიკი** - შპს „ჰერმესის“ იურიდიული განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ საკითხი;**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები;**
5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
7. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
8. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
9. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცეების შენარჩუნება-გაჯანსაღების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) გაცვლის ფორმით პრივატიზების სპეციალური წესისა და სხვა რიგი ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
12. „ქალაქი თბილისში, ფონიჭალაში, ღოღობერიძის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5044 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:

N01.18.13.022.037) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

13. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა №1-ში, მეორე სართულზე არსებული 469.73 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061.01.501) 170.56 კვ.მ ფართის და ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა №1-ში სხვენ სართულზე არსებული 338.09 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061.01.502) 176.21 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 21 ნოემბრის №ბ61.01193255 და 2021 წლის 31 მაისის №ბ61.01211513 ბრძანებებზე (მათში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) თანდართული პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-ს (ს/კ: 200160636) გათავისუფლების შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

14. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

15. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

16. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.704) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

17. „ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში, რკინიგზის სადგური „ველის“ მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.098) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

18. „ქალაქ თბილისში, ელვერ კუპატაძის I გასასვლელი N5-ში არსებული 1468 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.030.012) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

21. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
22. „ქალაქ თბილისში, ეგრისის II შესახვევი N12-ში (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.147.01.501 და N01.72.14.008.147.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
23. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.004.01.1116) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
24. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე N55 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.055); ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N49 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.049) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9გ-ში მდებარე N197 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.197) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
25. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
26. „ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.032) პირდაპირი განკარგვის წესით, მურატ მიგინეიშვილისთვის (პ/ნ: 01024070013) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
27. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.032.024) 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით დავით ბერულავასთვის (პ/ნ 01024022429) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
28. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
29. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნიკო კეცხოველის N58-ში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.560) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
30. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ქერჩის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.531) მიმართებით,

გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დიმიტრი გულიას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.004.074, ფართობი - 12 197 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
32. „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. **გაიოზ თალაკვაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში,** რომელიც, მისივე განმარტებით, მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონების გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2024 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 203,124.3 ათასი ლარი. ამასთანავე, გაიოზ თალაკვაძემ ყურადღება გაამახვილა შემდეგი პროცენტული შესრულებების ოდენობებზე:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 989,330.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105.9%;**
- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლები ფაქტიურად 1 880,549.8 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 105.2% და მთლიანი - შემოსულობების 94.5% შეადგინა;**
- **საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 518,493.4 ათასი ლარი;**
- **სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 317,473.0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 380,296.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 119,8%-ია;**
- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 182,904.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 111.9%-ია;**
- **სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 30,194.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 166%-ია;**
- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 52,770.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 75.4%-ია;**
- **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 99,200.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 132.3%-ია;**
- **მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 544.9 ათასი ლარი;**
- **სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 125,556.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 109.2%-ია;**
- **2024 წელს გადასახდელების შესრულების 93%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1%-ით ნაკლებია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2023 წელი - 1 722,247.9 ათასი ლარი) დახარჯულია 201,464.4 ათასი ლარით მეტი.**

გაიოზ თალაკვაძემ აგრეთვე ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული შემდეგი პრიორიტეტების შესახებ:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 636,739.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (673,471.8 ათასი ლარი) 94.6%-ია;**
- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 286,647.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (321,625.0 ათასი ლარი) 89.1%-ია;**
- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 289,350.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (313,288.2 ათასი ლარი) 92.4%-ია;**
- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1,810.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,284.2 ათასი ლარი) 79.3%-ია;**

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 50,648.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (51,083.8 ათასი ლარი) 99.2%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 168,196.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (169,486.2 ათასი ლარი) 99.2%-ია;
- განათლება - 261,856.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (283,616.5 ათასი ლარი) 92.3%-ია;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 55,583.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (71,157.7 ათასი ლარი) 78.1%-ია;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 9,303.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (10,297.0 ათასი ლარი) 90.4%-ია;
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 163,575.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (181,616.6 ათასი ლარი) 90.1%-ია.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" 88-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ღონისძიებაზე, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არაუგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაწესზე, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება.

ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, შემუშავებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც დანართის სახით უნდა დაერთოს საკითხთან დაკავშირებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნას, რაც გაზიარებულ იქნა კომისიის წევრების მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ნიკოლოზ ჭონქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N8-31 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულებაში“ (შემდგომში - „დებულება“) ცვლილებების განხორციელებას.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის დებულების მე-5 მუხლში და „მონიტორინგის განყოფილების“ ნაცვლად იქმნება ორი განყოფილება:

- „კონტროლის განყოფილება“;
- „ვიდეო მონიტორინგის განყოფილება“.

შესაბამისად, როგორც ნიკოლოზ ჭონქაძემ აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ხდება **„მონიტორინგის განყოფილების“ ფუნქციების გადანაწილება „კონტროლის განყოფილებასა“ და „ვიდეო მონიტორინგის განყოფილებას“ შორის.** განყოფილებების ფუნქციები განისაზღვრება შემდეგი რედაქციით:

„4. კონტროლის განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:
ა) 24 საათის განმავლობაში ახორციელებს სამსახურის ქვედანაყოფების საქმიანობის მონიტორინგს და სამსახურის უფროსს წარუდგენს მოსამსახურეთა მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შესახებ ინფორმაციას;
ბ) სამსახურის უფროსს აწვდის ინფორმაციას დასაცავ ობიექტებზე უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების შესახებ;
გ) მონაწილეობს თბილისის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და მუნიციპალური ქონების დაცვას;
დ) ურთიერთობას წარმართავს თბილისის მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.
5. ვიდეო მონიტორინგის განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:
ა) უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტების მონიტორინგს, ვიდეო-სამეთვალყურეო და ელექტრონული დაცვითი სისტემების საშუალებით მუდმივ დაკვირვებასა და ობიექტზე არსებული ვითარების შესახებ 24-საათიან რეჟიმში ინფორმაციის აღრიცხვას;
ბ) უზრუნველყოფს მუდმივ რადიო და/ან სატელეფონო კავშირს დასაცავი ობიექტების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებთან;
გ) სამსახურის უფროსს აწვდის ინფორმაციას დასაცავ ობიექტებზე უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების შესახებ;
დ) ურთიერთობას წარმართავს თბილისის მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.“

გარდა ზემოაღნიშნულისა, მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, **„ობიექტების დაცვის განყოფილების“ ნაცვლად იქმნება ორი განყოფილება:**

- **„მუნიციპალიტეტის შენობების და ტერიტორიების დაცვის განყოფილება“;**
- **„ობიექტების დაცვის განყოფილება“.**

შესაბამისად, განყოფილებების ფუნქციები განისაზღვრება შემდეგი რედაქციით:

„7. ობიექტების დაცვის განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:
ა) უზრუნველყოფს თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ობიექტების უსაფრთხოებასა და დაცვას;
ბ) უზრუნველყოფს თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ობიექტებში განთავსებული მუნიციპალური ქონების დაცვას;

გ) მონაწილეობს თბილისის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და მუნიციპალური ქონების დაცვას;
დ) ურთიერთობას წარმართავს თბილისის მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.
8. მუნიციპალიტეტის შენობების და ტერიტორიების დაცვის განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:
ა) უზრუნველყოფს თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების და შენობების (თბილისის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში ან/და საკუთრებაში არსებული საწყობები, სამრეცხაო, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირებისათვის გადაცემული უძრავი ქონება) უსაფრთხოებასა და დაცვას;
ბ) უზრუნველყოფს ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე და შენობებში განთავსებული მუნიციპალური ქონების დაცვას;
გ) მონაწილეობს თბილისის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და მუნიციპალური ქონების დაცვას;

დ) ურთიერთობას წარმართავს თბილისის მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან."

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება განპირობებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „თბილსერვის ჯგუფის" ობიექტების დაცვის ფუნქციის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურისთვის გადაცემით და მიზნად ისახავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას, სისტემური მმართველობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის **შტატით განსაზღვრული თანამშრომლების რაოდენობა იზრდება 12 ერთეულით, ხოლო სამსახურის ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ფონდი იზრდება 24528 ლარით. პროექტი დაფინანსდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის „უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის" (კოდი 10 13) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.**

მოხსენების მიწურულს, ნიკოლოზ ჭონქაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, და **აქვე დააზუსტა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილების პროექტში, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვროს მისი გამოქვეყნების დღე.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძის მოსაზრებით, ვინაიდან, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ცვლილების შეტანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N8-31 დადგენილებაში, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ" ქვეპუნქტი, რომელიც განსაზღვრავს მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცების უფლებამოსილებას და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

აგრეთვე, საკითხის წარმომდგენის ზემოაღნიშნული დაზუსტების გათვალისწინებით, კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველი და მეორე მუხლების ახლებური რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. გოგი ჩიქოვანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების** (შემდგომში - „**დებულება**") **დამტკიცებას; კერძოდ, როგორც დებულების მოქმედ** რედაქციაში **არსებული ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებას, აგრეთვე, შინაარსობრივი ცვლილებების განხორციელებას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას (შემდგომში - „**მუნიციპალური ინსპექცია**") **დაემატა მთელი რიგი ფუნქციები და უფლებამოსილებები, რომლებიც მიზანშეწონილია ასახულ იქნეს სამსახურის დებულებაში.** აღნიშნული ფუნქციებია:

- აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის რეკლამის გავრცელებაზე ან/და აბრის განთავსების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათ დაცვაზე კონტროლი;
- მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების წესის ან/და რეალიზაციის წესის დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათ შესრულებაზე კონტროლი;
- ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავების, მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეში ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსების, ამტვერებადი მასალის ტრანსპორტირების, ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრისა და სამშენებლო მოედანზე შეუფუთავი ამტვერებადი მასალის ან/და არასათანადოდ შეფუთული ამტვერებადი მასალის განთავსების ფაქტების გამოვლენა და კონტროლი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უნებართვოდ დაკავების/სარგებლობის ფაქტების გამოვლენა და კონტროლი.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ფუნქციების დამატებისა და ახალი უფლებამოსილებების განსაზღვრის გათვალისწინებით, ცვლილება შედის დებულების მე-6 მუხლში, რაც გულისხმობს „სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებისა“ და „სამშენებლო კონტროლისა და ექსპლუატაციის განყოფილების“ გაყოფას ორ-ორ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად და მათთვის შესაბამისი უფლებამოსილებების განსაზღვრას. კერძოდ, ცალკე ჩამოყალიბდება:

- „სამართლებრივი წარმოებისა და საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილება“, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურში სამშენებლო სამართალდარღვევებზე მიმდინარე სამართლებრივი საქმისწარმოების პროცესს, სამართლებრივი აქტების მომზადებას, ასევე საორგანიზაციო მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში იურიდიულ კონსულტაციას, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციაზე პასუხების მომზადებას;
- „სასამართლოსთან ურთიერთობისა და აღსრულების განყოფილება“, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურის წარმომადგენლობას სასამართლოებში გასაჩივრებულ საქმეებზე, ასევე ყველა სამშენებლო სამართალდარღვევაზე შესაბამის სააღსრულებლო წარმოებას და აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ურთიერთობას;
- „მშენებლობადასრულებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების განყოფილება“, რომელიც უზრუნველყოფს მშენებლობადასრულებული ობიექტების შესწავლას, დასკვნების მომზადებას და ექსპლუატაციაში მიღება/არ მიღებაზე ხელმძღვანელობისთვის წინადადებების წარმოდგენას;
- „სამშენებლო კონტროლის განყოფილება“, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამშენებლო ეტაპების კონტროლს, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე გადამოწმებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი ფინანსური სანქციების დაკისრებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მომხსენებლის მითითებით, „ინსპექტირებისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის სამმართველოს“ ნაცვლად ჩამოყალიბდება „სამშენებლო საქმიანობის ინსპექტირებისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის სამმართველო“; ხოლო „მონიტორინგის სამმართველოს“ ნაცვლად „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მონიტორინგის სამმართველო“.

გოგი ჩიქოვანმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ღამის საათებში მუნიციპალური ინსპექციის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე ეფექტური რეაგირების უზრუნველსაყოფად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მონიტორინგის სამმართველოს“ შემადგენლობაში „აკუსტიკური ხმაურის განყოფილების“ ნაცვლად ჩამოყალიბდება „ოპერატიული რეაგირებისა და აკუსტიკური ხმაურის განყოფილება“, რომელიც მორიგე ჯგუფების მეშვეობით იფუნქციონირებს; აგრეთვე „რეკლამების მონიტორინგის განყოფილების“ ნაცვლად შეიქმნება „თვითმმართველი ერთეულის იერსახის და რეკლამების მონიტორინგის განყოფილება“.

მომხსენებელმა აქვე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დებულებიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევის ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელების ფაქტების გამოვლენის უფლებამოსილების განხორციელებაზე, ვინაიდან მუნიციპალური ინსპექცია აღნიშნულ უფლებამოსილებას აღარ ახორციელებს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მუნიციპალური ინსპექციის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები დაზუსტდა და გადანაწილდა იმგვარად, რომ ისინი მოერგო იმ საქმიანობებს, რასაც თითოეული მათგანი პრაქტიკაში ახორციელებს. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს, სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის სწორი ფუნქცია-მოვალეობების მინიჭებას,

კონკრეტული და ახალი მიმართულებების განსაზღვრა/ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებასა და სამუშაო გარემოს მოქნილობას.

მოხსენების მიწურულს, გოგი ჩიქოვანმა შეჯამების სახით აღნიშნა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილება და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის 1 მაისი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტის დანართით წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, გარე ვაჭრობის მონიტორინგის განყოფილების ფუნქცია-მოვალეობებში, „გ.გ“ ქვეპუნქტის სახით განისაზღვროს შემდეგი სახის ფუნქცია:

„გ.გ) ახორციელებს მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების წესის ან/და რეალიზაციის წესის დარღვევაზე კონტროლს და უზრუნველყოფს გამოვლენილ სამართალდარღვევებზე შესაბამისი ზომების გატარებას“.

აგრეთვე, კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორებისა და დადგენილების პრეამბულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. გოგი ჩიქოვანმა და ნიკოლოზ ჭონქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნეს კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები,** რომლებიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-101 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საშტატო ნუსხაში“** (დანართი 3) და პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხაში“** (დანართი 8) ცვლილებების განხორციელებას.

გოგი ჩიქოვანმა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საშტატო ნუსხაში“ განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტების ნაწილი წარმოდგენილი საშტატო ნუსხის თანახმად, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, სპეციალური ტექნიკური განათლების მქონე პირები (არქიტექტორი, ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი) არიან, რომელთა პროფესიებიც შრომის ბაზარზე მოთხოვნად სპეციალობებს განეკუთვნება და სამსახურის ფუნქციების და უფლებამოსილებების გათვალისწინებით, აუცილებელ პირობას ქმნიან სამსახურის გამართული ფუნქციონირებისთვის. ვინაიდან აღნიშნული სპეციალისტები შრომის ბაზარზე მაღალმოთხოვნადი არიან, სამსახურში მათი შენარჩუნების, მოტივაციის ამაღლებისა და ასევე ახალი კადრების მოზიდვის უზრუნველსაყოფად, სამსახურის არსებული ვაკანტური პოზიციების ოპტიმიზაციის შედეგად ჩამოყალიბდება 12 (თორმეტი) ახალი, სპეციალური ტექნიკური განათლების საკვალიფიკაციო მოთხოვნის მქონე პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი. ხელფასი განისაზღვრება 2774 ლარით, თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტით 1,9 .

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ასევე გათვალისწინებულია შუალედური რგოლის მენეჯერების საშტატო ერთეულებზე (16 საშტატო ერთეულზე) თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტის გაზრდა; კერძოდ, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შტატზე (სამმართველოს უფროსი) კოეფიციენტი 2.5-ის ნაცვლად განისაზღვრება 2.8-ით (შრომის ანაზღაურება 3 650 ლარის ნაცვლად - 4 088 ლარით განისაზღვრება) და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შტატზე (განყოფილების უფროსი) კოეფიციენტი 2.0-ის ნაცვლად განისაზღვრება 2.5-ით (კერძოდ, შრომის ანაზღაურება 2 920 ლარის ნაცვლად - 3 650 ლარით განისაზღვრება).

ამ კონტექსტში, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტის ზრდის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ვინაიდან აღნიშნულ საშტატო ერთეულებზე, გარდა მენეჯერული უნარებისა, მოითხოვება სპეციალური ტექნიკური განათლება და გამოცდილება, კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების შესანარჩუნებლად, მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობების და კომპლექსური ამოცანების ეფექტურად შესასრულებლად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტის ზრდა. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სტრუქტურას ემატება ასევე მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილის ერთი პოზიცია. საერთო ჯამში, სამსახურის საშტატო ერთეულების რაოდენობა 162 შტატის ნაცვლად განისაზღვრება 160 ერთეულით.

გოგი ჩიქოვანმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო მისი ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის 1 მაისი.

საკითხის წარდგენა განაგრძო ნიკოლოზ ჭონქაძემ და განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა იზრდება 12 ერთეულით; მათ შორის, „მონიტორინგის განყოფილების“ (13 საშტატო ერთეული; მ.შ. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) - 1 ს.ე.; მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 6 ს.ე.; პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - 6 ს.ე.) ნაცვლად წარმოდგენილია ორი ქვედანაყოფი:

- „კონტროლის განყოფილება“ - 9 საშტატო ერთეულით;
- „ვიდეო მონიტორინგის განყოფილება“ - 10 საშტატო ერთეულით.

გარდა ამისა, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურს ემატება შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ობიექტების დაცვის

ფუნქცია, „ობიექტების დაცვის განყოფილების“ (12 საშტატო ერთეული; მ.შ. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) - 1 ს.ე.; მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 3 ს.ე.; პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - 8 ს.ე.) ნაცვლად წარმოდგენილია ორი ქვედანაყოფი:

- „ობიექტების დაცვის განყოფილება“ - 9 საშტატო ერთეულით;
- „მუნიციპალიტეტის შენობების და ტერიტორიების დაცვის განყოფილება“ - 9 საშტატო ერთეულით.

ნიკოლოზ ჭონქაძის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, სამსახურის საშტატო ნუსხით განსაზღვრულია 89 საშტატო ერთეული, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, სამსახურის საერთო საშტატო რიცხოვნობა იზრდება 12 საშტატო ერთეულით და შეადგენს 101 საშტატო ერთეულს. ამასთანავე, სამსახურის ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ფონდი იზრდება 24528 ლარით, რომლის დაფინანსებისთვის საჭირო საბიუჯეტო სახსრებიც გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის „უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის“ (კოდი 10 13) პროგრამით განსაზღვრული ასიგნებებით.

მომხსენებლისვე მითითებით, წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება განპირობებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ობიექტების დაცვის ფუნქციის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურისთვის გადაცემით და მიზნად ისახავს სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას, სისტემური მმართველობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

მოხსენების მიწურულს, ნიკოლოზ ჭონქაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, და აქვე დააზუსტა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილების პროექტში, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვროს მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი დადგენილების ორი პროექტის გაერთიანებისა და მათი ერთი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის სახით ჩამოყალიბების, ასევე პროექტის ტექნიკურად გამართვისა და ნიკოლოზ ჭონქაძის ზემოაღნიშნული დაზუსტების გათვალისწინებით, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებელთა მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,

რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესში“ (შემდგომში - „წესი“) ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილია საქალაქო სასაფლაოს ტერიტორიაზე დაკრძალვისთვის გამოყოფილი მხოლოდ თავისუფალი მიწის ნაკვეთის ზონირებისა და ახალი საფლავების რაოდენობის განსაზღვრის წესი, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით განისაზღვრება უკვე ათვისებულ საქალაქო სასაფლაოთა ზონირების სპეციალური წესი და ერთ და ორადგილიანი საფლავების უფასოდ გაცემის გამონაკლისი შემთხვევები. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობით, ოპერატორს ენიჭება უფლებამოსილება საქალაქო სასაფლაოს ტერიტორიაზე დაკრძალვისთვის გამოყოფილ იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც ფაქტობრივად ათვისებულია, მოახდინოს ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება (პირველი ზონიდან მეოთხე ზონის ჩათვლით). ამასთანავე, ზემოაღნიშნული წესიდან ცალკეული გამონაკლისის დაშვება და აღნიშნულ საქალაქო სასაფლაოთა ტერიტორიებზე უფასოდ (ერთ ან ორადგილიანი) საფლავის გამოყოფა მოხდება მხოლოდ საგვარეულო სამარხის მომიჯნავედ არსებული თავისუფალი რესურსიდან ან საგვარეულო სამარხიდან ამოსვენების შედეგად გათავისუფლებული ადგილიდან ოჯახის წევრების ან ურთიერთთანხმობის საფუძველზე, ახლობელი ადამიანების ნეშტის დასაკრძალად.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საქალაქო სასაფლაოებზე მოწყობილი საფლავები მეტწილად ათვისებულია, ამასთანავე, არ არის განხორციელებული აღნიშნულ საქალაქო სასაფლაოთა ზონირება და გამოყოფილი საფლავების გაცემა უკვე განხორციელებულია ზონირების გარეშე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ფაქტობრივი მდგომარეობისა და სამართლებრივი რეგულირების შესაბამისობაში მოყვანა. ამასთანავე, დაგეგმილი ცვლილებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის რესურსის რაციონალურ გამოყენებას საფლავების მოწყობისა და დაგეგმარების კუთხით.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ზემოაღნიშნული გამონაკლისი შემთხვევების დაკონკრეტების აუცილებლობა განპირობებულ იქნა არსებული პრაქტიკით, რომლის თანახმადაც, მითითებული საქალაქო სასაფლაოების ტერიტორიაზე ძველად გაცემული საგვარეულო სამარხებიდან საკმაოდ ხშირია ამოსვენებისა და საფლავების გათავისუფლების ფაქტი და ვინაიდან, მოცემულ საქალაქო სასაფლაოებზე არ არის განხორციელებული ზონირება, მითითებული წესით არსებული რეგულაცია, ოპერატორს აკისრებს ვალდებულებას, მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ერთი ან/და ორადგილიანი საფლავი ზონის გარეშე, უსასყიდლოდ. შესაბამისად, არსებული რეგულაცია წინააღმდეგობაშია საფლავების მოწყობისა და დაგეგმარების კუთხით, მუნიციპალიტეტის რესურსის რაციონალური გამოყენების მიზანთან და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებით განსაზღვრული ნორმები შესაბამისობაში მოვიდეს პრაქტიკიდან გამომდინარე წარმოშობილ გამოწვევებთან.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, წარმოდგენილი დადგენილების პროექტში მიეთითოს ნორმატიული აქტის შემდეგი რეკვიზიტები: ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი. **კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა** დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულებაში“ (შემდგომში - „დებულება“) ცვლილებების შეტანას, კერძოდ, ცალკეული საკითხების დაზუსტებას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დებულების მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“) უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, აუქციონის ორგანიზებას, ჩატარებას და შედეგების გაფორმებას. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირის) ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების/რეალიზაციის ან სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, აუქციონის ორგანიზებას, ჩატარებას და შედეგების გაფორმებას.

მომხსენებლის მითითებით, პრაქტიკაში სააგენტო ასევე უზრუნველყოფს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის აუქციონის ორგანიზებას, ჩატარებას და შედეგების გაფორმებას.** შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებებით **სააგენტოს ზოგად უფლებამოსილებაში გაიწერება აღნიშნული და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი შინაარსით:**

„დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ქონებაზე აუქციონის მომზადება, ჩატარება და შედეგების გაფორმება.“

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ სააგენტო აუქციონის მომზადება/ორგანიზებას, ჩატარებას და შედეგების გაფორმებას ახორციელებს მისი სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების, კონკრეტულად, საფინანსო და მომსახურების სამსახურისა და ქონების მართვისა და განკარგვის სამსახურის მეშვეობით. წარმოდგენილი ცვლილებების ფარგლებში, დაზუსტდება მითითებული სამსახურების ფუნქციები აუქციონების კუთხით და მიესადაგება სააგენტოში არსებულ პრაქტიკას.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ პრაქტიკაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალების საფუძველზე, სააგენტო ახორციელებს კონკრეტული უძრავი ქონების გამოსყიდვას და უზრუნველყოფის ყველა აუცილებელ ღონისძიებას აღნიშნულის განსახორციელებლად. შესაბამისად, დებულებაში უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხების განმხილველი სამსახურის უფლებამოსილებაში გაიწერება აღნიშნული უფლებამოსილება.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესში“ (შემდგომში - „წესი“) ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც:

„3. საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ ქონების მიმღები ინფორმაციას ადასტურებს, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქონების შემძენსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მომზადებული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით.“.

მომხსენებლის განმარტებით, წესის მოქმედი რედაქციის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-86 დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის №43-54 დადგენილებით; შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა

მიჩნეული, წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, **დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილების** პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქ. **თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესში“** (შემდგომში - „**წესი**“) **ცვლილების** შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, **ახლებური** რედაქციით ჩამოყალიბდება **წესის** მე-11 **მუხლის** მე-4 **პუნქტი,** რომლის **თანახმადაც:**

„4. საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ ქონების შემძენი ინფორმაციას ადასტურებს, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქონების შემძენსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მომზადებული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით.“.

მომხსენებლის მითითებით, **ვინაიდან** წესის **მოქმედი** რედაქციის **მე-11 მუხლის** მე-4 **პუნქტში** მოხსენიებული „ქ. .თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-86 დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის №43-54 დადგენილებით, მიზანშეწონილად** იქნა **მიჩნეული** წესის **მე-11 მუხლის** მე-4 **პუნქტის** შინაარსი **შესაბამისობაში** მოვიდეს **მოქმედ** კანონმდებლობასთან.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, **დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცეების შენარჩუნება-გაჯანსაღების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) გაცვლის ფორმით პრივატიზების სპეციალური წესისა და სხვა რიგი ღონისძიებების“ (შემდგომში - „წესი“) დამტკიცებას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიების ურბანულად სწორი დაგეგმვა/განვითარება და რეკრეაციული სივრცეების შექმნა/შენარჩუნება/გაჯანსაღებაში ხელის შეწყობა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული დადგენილების პროექტის შემუშავება, რათა თავიდან იქნეს არიდებული, შესაბამის არეალებში, მეჩხერი განაშენიანება, მოხდეს განაშენიანებული და გაუნაშენიანებელი ტერიტორიების სწორი დაგეგმვა-განვითარება, შესაბამისი და საჭირო ფუნქციის გათვალისწინებით და ამასთანავე გამოთავისუფლდეს სივრცეები რეკრეაციული ადგილებისათვის.

მომხსენებლის განმარტებით, წესს დანართების სახით თან ახლავს ასევე განსაზღვრული ტერიტორიები - არეალები. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცემათ ამ ტერიტორიაზე მოითხოვონ მათ საკუთრებაში არსებული ფართის გაცვლის ფორმით პრივატიზება ამავე ტერიტორიის ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის სანაცვლოდ.

სერგო ბირკაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთლიანობაში, ეს პროცესი როგორც კერძო მესაკუთრეებისათვის, ასევე მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და სასარგებლოა, რამეთუ, კერძო მესაკუთრეს ეძლევა შესაძლებლობა მის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, რომელიც შესაძლებელია იყოს სამშენებლო მიზნებისათვის გამოუყენებელი, რაც, თავის მხრივ, საკუთრების სრულფასოვნად გამოყენების შესაძლებლობას კარგავს, განკარგოს ისე, რომ საკუთრებაში მიიღოს მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლოდ განვითარებადი მიწა, სწორი ურბანული დაგეგმარებით და ა.შ. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტი ამ პროცესით, ხელს უწყობს დედაქალაქში რეკრეაციული სივრცეებისათვის ტერიტორიების გამოთავისუფლებას, გარდა ამისა სწორ ურბანულ განვითარებას, რაც მთლიანობაში მუნიციპალიტეტის (მოსახლეობის ჩათვლით) პრიორიტეტია.

მომხსენებლისვე მითითებით, დაინტერესებული პირი, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) გაცვლის ფორმით პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილია მიმართოს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი განცხადებით და თან დაურთოს წესით განსაზღვრული

დოკუმენტაცია. გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი წესით ასევე განისაზღვრება გაცვლის ფორმით პრივატიზების ძირითადი პირობები.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტის პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით, ასევე მე-5 მუხლის მე-8 პუნქტში, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით, მიწის ნაკვეთის ფართობისა და ზომებისათვის დადგენილ განაშენიანების რეგულირების პარამეტრებთან მიმართებით დაკონკრეტდეს არსებული ჩანაწერი და ზომების ნაწილში მიეთითოს სიგანე და სიღრმე. ასევე კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა დადგენილების პროექტისა და დანართის სათაურებში უძრავ ნივთთან მიმართებით ტერმინის „ცალკეული" და დადგენილების პირველ მუხლში დადგენილების დანართის მითითების რეკომენდაციებზე.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 იანვრის N4 სხდომის ოქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსს ირაკლი თავართქილაძეს დაევალა ქალაქ თბილისში, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის/მოწესრიგების, საგზაო უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოების მიზნით კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით,

შესაბამის პირებთან მოლაპარაკებების წარმოება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად წინადადებების წარდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის განკარგულებების საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმდა „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულება, რომლითაც ქონების შემძენს გადაეცა ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა №21-ში მდებარე 2 402 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ხოლო სანაცვლოდ **მუნიციპალიტეტმა მიიღო გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ) არსებული 234 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.** გარდა ამისა, ქონების შემძენის მიერ **მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემული მიწის ნაკვეთის ღირებულება 225 846 ლარით აღემატება მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონების ღირებულებას.**

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების 4.3 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის ვალდებული, ქონების შემძენს გადაუხადოს უძრავი ქონებების ფასთა შორის არსებული ზემოაღნიშნული სხვაობა;** ამასთანავე, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ითანამშრომლებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის" მისი საკუთრების ან სარგებლობის უფლებით (შესაბამისი ფორმით) გადაცემის მიზნით, ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის (შესაბამისად) ანგარიშში ჩათვლის პირობით.

მომხსენებლის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ **2024 წლის 17 ოქტომბრის შეთანხმებით, ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული 6 (ექვსი) თვიანი ვადა ერთხელ უკვე გახანგრძლივებულ იქნა 12 (თორმეტი) თვემდე, ამ ეტაპზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული.** ამასთანავე, **გრძელდება შესაბამისი მიწის ნაკვეთის მოძიების/შეთავაზების პროცესი. ვინაიდან, აღნიშნული პროცესის წარმატებით დასრულება წარმოადგენს არამხოლოდ ქონების შემძენის, არამედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესს,** შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული 12 (თორმეტი) თვიანი ვადის გაზრდის საკითხი.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 24 მარტის განცხადებით, ქონების შემძენის მიერ მოთხოვნილ იქნა **ხელშეკრულების 4.3 პუნქტით** განსაზღვრული ვადის 18 (თვრამეტი) თვემდე გაზრდა.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში 4.3 პუნქტით განსაზღვრული ვადა გაიზრდება 18 (თვრამეტი) თვემდე.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები, ასევე განკარგულების პროექტის თანდართულ შეთანხმებას მიეთითოს „დანართი" და შესაბამისობაში მოვიდეს განკარგულების პროექტთან. აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში" ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „კორტებს" შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დაიდო „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიანი ხელშეკრულება", რომლის საფუძველზეც, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის ქუჩა №13-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7174 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა. აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, ქონების საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 2 635 944 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) შესაბამისად, მყიდველმა იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის: 2025 წლის 1 ივლისამდე უძრავ ქონებაზე სპორტული კომპლექსის, მათ შორის, არანაკლებ 3 (საჩოგბურთო კორტის (ღია ან დახურული), საცურაო აუზის, ფიტნეს-დარბაზის, ასევე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულებისა და სპორტულ კომპლექსთან დაკავშირებული სივრცეების (შემდგომში: სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი) მშენებლობა, ექსპლუატაციაში მიღება, მოწყობა, შესაბამისად აღჭურვა და ამ მიზნით, არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება.

მომხსენებლის მითითებით, მყიდველმა ვადის გაზრდის მიზნით განმეორებით მიმართა სააგენტოს 2024 წლის 1 ნოემბრისა და 2025 წლის 28 მარტის განცხადებებით და მოითხოვა საპრივატიზებო პირობის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობის) შესრულების ვადად განსაზღვრულიყო არაუგვიანეს 2026 წლის 1 ივნისი. ამასთანავე, მყიდველის მიერ წარმოდგენილი შპს „გრანთ თორნთონის" 2024 წლის 1 აგვისტოს აუდიტორული დასკვნით დასტურდება მყიდველის მიერ საინვესტიციო პირობის შესრულება. კერძოდ, აღნიშნული დასკვნის თანახმად, მყიდველის მიერ განხორციელებული ინვესტიციის ოდენობა შეადგენს 7 401 677 ლარს.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა დაინტერესებული პირის მიერ წერილობით განცხადებაში აღნიშნულ იმ გარემოებებზე, რომლებმაც განაპირობეს სამშენებლო სამუშაოების დროის გახანგრძლივება და აღნიშნა, რომ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის დაზიანების გამო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილებით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეჩერდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა, საექსპერტო დასკვნის წარდგენამდე, რომლითაც გამოირიცხებოდა სამშენებლო სამუშაოების უარყოფითი ზეგავლენა მიწის ნაკვეთის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს მდებარე ქუჩებზე. არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მყიდველმა

დაახლოებით 7 თვის მანძილზე ვერ აწარმოა სამშენებლო სამუშაოები. გარდა ამისა, ვინაიდან, მყიდველს ქ. თბილისში მოქმედმა გაზგამანაწილებელმა კომპანიამ არ მისცა გაზის მილის შეჭრის უფლება (რამდენადაც გაზმომარაგების გარეშე დარჩებოდა რამდენიმე ათასი აბონენტი), 2023 წლის 25 მაისს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულ ნებართვას (სამშენებლო ტერიტორიიდან IV კლასის გაზსადენის გატანასთან დაკავშირებით) გაუვიდა ვადა, რის გამოც დაინტერესებულმა პირმა განმეორებით მიმართა არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა გაცემული ნებართვის ვადის გაზრდა, რაც დაკმაყოფილდა აღნიშნული უწყების მიერ.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ პროექტი არის საკმაოდ მასშტაბური, მოიცავს სხვადასხვა სირთულის საინჟინრო გადაწყვეტილებას და სპეციალური მანქანა-დანადგარების ძირითადი ნაწილი არის ჩამოსატანი სხვადასხვა ქვეყნიდან, ხოლო ზოგიერთი მათგანი უნდა დამზადდეს სპეციალურად ზემოაღნიშნული შენობისთვის. ასევე, მშენებლობის მიმდინარეობისას, პერიოდულად კორექტირება პროექტი და თანხმდება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან, რაც მოითხოვს შესაბამის დამატებით ვადებს.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, **გაიზრდება სამშენებლო პროექტის განხორციელების ვადა 11 თვით (2026 წლის 1 ივნისამდე);** აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზრდად პირგასამტეხლოზე დამატებით, **კომპანიას დაეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 167 500 ლარის ოდენობით** (პირგასამტეხლოს ის ოდენობა, რომელიც დაეკისრებოდა ვადის გაზრდის გარეშე). ამასთანავე, **ჩოგბურთის კორტების მშენებლობა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის შენობის ფასადის მოწყობა დასრულდება 2025 წლის 30 სექტემბრამდე, ხოლო შესაბამისი დასკვნა წარმოდგენილი იქნება 7 კალენდარულ დღეში.** შეთანხმებით ასევე დადასტურდება მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულება.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქ. თბილისში, ფონიჭალაში, ღოღობერიძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5044 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 277 840 ლარის ოდენობით, შპს „კ სამი"-ს საკუთრებაში, ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში, III მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 1412 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2024 წლის 15 მაისს, შპს „კ სამი"-ს დირექტორმა წერილობითი განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო") და ითხოვა კომპანიის საკუთრებაში არსებული, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით

პრივატიზება, **იმ საფუძვლით, რომ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა ეწინააღმდეგება მშენებლობას, მათი მოთხოვნაა შენარჩუნდეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები და მოეწყოს სარეკრეაციო სივრცე (სკვერი).** აღნიშნული დასტურდება მიწის ნაკვეთის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის 2023 წლის 30 მარტის კოლექტიური განცხადებით. ხსენებული მიზეზით, **მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ვერ უზრუნველყოფს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2023 წლის 11 ივლისის ბრძანებით დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.**

სერგო ბირკაძის განმარტებით, კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სამშენებლოს განვითარებისთვის განხორციელდა ცალკეული ღონისძიებები და **გაწეულ იქნა გარკვეული დანახარჯები კომპანიის მხრიდან (84 588.15 ლარი).** თუმცა, მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, კომპანიის მიერ, 2024 წლის 7 აგვისტოს, წარმოდგენილ იქნა **წერილობითი თანხმობა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრაზე, ზემოაღნიშნული დანახარჯების გათვალისწინების გარეშე.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციის შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, **შესაძლებლად იქნა მიჩნეული მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობა მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად;** ხოლო მოსახლეობის მიერ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის მოთხოვნის გათვალისწინებით, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის მიერ დაიგეგმება რეკრეაციული სივრცის მოწყობა.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 5 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 1 240 824 ლარი, ხოლო კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შეფასდა 962 984 ლარად.** შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 277 840 ლარით აღემატება კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას.** დაინტერესებულმა პირმა წერილობითი თანხმობა განაცხადა აღნიშნული საპრივატიზებო საფასურის გადახდაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, განსაზღვრულ ვადაში.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნია კომპანიის თხოვნის დაკმაყოფილება მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულებისა და დანართის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტების მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე. ასევე **კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია** „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, წარმოდგენილი განკარგულების პროექტში მიეთითოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემდეგი რეკვიზიტები: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დრო და ადგილი.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა №1-ში, მეორე სართულზე არსებული 469.73 კვ.მ ფართიდან 170.56 კვ.მ ფართის და ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა №1-ში სხვენ სართულზე არსებული 338.09 კვ.მ ფართიდან 176.21 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „ია"-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 21 ნოემბრისა და 2021 წლის 31 მაისის ბრძანებებზე (მათში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) თანდართული პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ „ია"-ს გათავისუფლების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო") 2021 წლის 31 მაისის ბრძანებისა და თანდართული პირობების შესაბამისად (შემდგომში - „ფართის ხელშეკრულება"), ა(ა)იპ „ია"-ს (შემდგომში „ორგანიზაცია") პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა N1-ში, მეორე სართულზე არსებული 469.73 კვ.მ ფართიდან 170.56 კვ.მ ფართი, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით. კერძოდ, ორგანიზაციას უნდა უზრუნველეყო, არაუგვიანეს 2021 წლის 31 აგვისტოსი არანაკლებ 20 000 (ოცი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება, ამავე ქონებაზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით. ასევე, სააგენტოს 2019 წლის 21 ნოემბრის ბრძანების (2021 წლის 15 აპრილის ბრძანებით განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) და თანდართული პირობების შესაბამისად (შემდგომში - „სხვენის ხელშეკრულება"), ორგანიზაციას პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა, ამავე მისამართზე მდებარე შენობა-ნაგებობა N1-ში, სხვენ სართულზე არსებული 181.13 კვ.მ ფართი ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობით, კერძოდ არაუგვიანეს 2022 წლის 31 მარტისა, ორგანიზაციას უნდა უზრუნველეყო არანაკლებ 15 000 ევროს ექვივალენტი ლარში ინვესტირება სარგებლობის უფლებით გადაცემულ ქონებაზე სარემონტო სამუშაოების განხორციელების პირობით.

მომხსენებლის განმარტებით, ორგანიზაციის მიერ, სააგენტოში წარდგენილი, შპს „კონსაუდის" 2025 წლის 4 თებერვლის დასკვნის მიხედვით, სხვენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობის შესრულების მიზნით განხორციელებულმა ინვესტიციამ, ნაცვლად 15 000 ევროს ექვივალენტი ლარში, შეადგინა 12 607 ევროს ექვივალენტი ლარში. შესაბამისად, სხვენის ხელშეკრულების 7.4 პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციას დაეკისრა პირგასამტეხლო განსახორციელებელი ინვესტიციის (2 393 ევრო) 0,1%-ის (2,393 ევრო) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც სხვენის ხელშეკრულების ვადის გასვლით შეწყვეტის თარიღისათვის (27.11.2024 წ.) ჯამში შეადგენს 2 326 ევროს. ამავე დასკვნის მიხედვით, ფართის ხელშეკრულებით

გათვალისწინებული საინვესტიციო პირობა შესრულებული არ არის. შესაბამისად, ფართის ხელშეკრულების 7.4 პუნქტის გათვალისწინებით, **ორგანიზაციას დაეკისრა პირგასამტეხლო** განსახორციელებელი ინვესტიციის (20 000 ლარი) 0,1%-ის (20 ლარი) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, **რაც ფართის ხელშეკრულების ვადის გასვლით შეწყვეტის თარიღისათვის (27.11.2024 წ.) ჯამში შეადგენს 23 680 ლარს.** ამავე დასკვნაში, ასევე აღნიშნულია, რომ **ორგანიზაციის მიერ ზემოხსენებულ ქონებაზე 2018 წელს,** სააგენტოს 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანების მოქმედების პერიოდში (05.01.2017-05.01.2019წწ.), **ჯერ კიდევ მაშინ როცა ქონებაზე თანხის ინვესტირება არ წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებას, განხორციელებულია 49 406,74 ლარის ინვესტიცია.**

მომხსენებლისვე მითითებით, ა(ა)იპ „ია"-ს გამგეობის თავმჯდომარემ წერილობითი განცხადებით მიმართა სააგენტოს და ითხოვა **ზემოაღნიშნული ფართების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით განმეორებით გადაცემა 3 წლის ვადით, განსახორციელებელი საინვესტიციო ვალდებულების განხორციელების პირობით.** როგორც წერილშია აღნიშნული, ფართის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების 20 000 ლარის სანაცვლოდ, გარკვეული გარემოებების გამო განხორციელდა ზემოხსენებული 49 406.74 ლარის ინვესტიცია, ხოლო სხვენის ხელშეკრულებით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების 15 000 ევროს სანაცვლოდ განხორციელდა 46 919 ლარის ინვესტიცია (რაც გამოიწვია ევროს კურსის ცვლილებამ ლართან მიმართებით და ეროვნულ ვალუტაში გახარჯული თანხა არ დაემთხვა საინვესტიციო თანხის ოდენობას ევროში). შესაბამისად, განსახორციელებელი საინვესტიციო ვალდებულება შეადგენს 2400 ევროს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ორგანიზაციის მიერ ასევე მოთხოვნილ იქნა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება **მოთხოვნილი ფართების მითითებული ორგანიზაციისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, 3 წლის ვადით და განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულებებით.** კერძოდ, **170.56 კვ.მ ფართზე 20 000 ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით,** ხოლო **176.21 კვ.მ ფართზე არანაკლებ 7 163.52 ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით** (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 2 აპრილის განკარგულების გამოცემის დღისთვის 2 400 ევროს ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული ოფიციალური გაცვლითი კურსის (2,9848) შესაბამისად). ასევე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გათვალისწინებულია **ორგანიზაციის ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან (ჯამში - 23 680 ლარი) გათავისუფლება.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ჯამურად - 760.05 კვ.მ), ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის (7 პირი) პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, განკარგულების პროექტის დანართით წარმოდგენილი პირები არიან ყოფილი N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები/მათი უფლებამონაცვლეები, რომელთა წინაშეც სახელმწიფოს საშინაო ვალი აქვს აღიარებული, ხოლო ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1987 წლის 13 აგვისტოს N20.47.512 გადაწყვეტილების მიხედვით, გამოყოფილი იყო N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისთვის. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლები აშენებულია და მასში ფაქტობრივად ცხოვრობენ ამავე კოოპერატივის წევრების/მათი უფლებამონაცვლეების ნაწილი. აღნიშნული კოოპერატივის წევრთა ნაწილი, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ გადაანაწილა სხვადასხვა პროექტებში და დღეის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილნი არიან ის პირები, ვისაც ფაქტობრივად ზემოაღნიშნულ მისამართზე აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართები, რომლებიც N620 კოოპერატივის წევრებისთვის იყოს გამოყოფილი.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულია აღნიშნული კოოპერატივის უფლებამონაცვლე ამხანაგობის - „ნუცუბიძის პლატო 620"-ის თავმჯდომარის - ირინა გეგეჭკორის 2022 წლის 14 მარტის განცხადებითაც. შესაბამისად, აღნიშნული პირებისთვის მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემით, მუნიციპალიტეტის ვალდებულება აღნიშნული კოოპერატივის წინაშე შესრულებული იქნება, ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ფართებზე მათ საკუთრების უფლება გადაეცემათ მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის და „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების მითითების, ასევე განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის კორპუს N2ბ-ში, მეორე სართულზე არსებული 13.03 კვ.მ ფართობის N21 ბინის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით, მოქალაქე იზოლდა ფარეხელაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, **დაინტერესებული პირი ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 1989 წლიდან.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში დაინტერესებული პირი **რეგისტრირებული არ არის;**
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მეორე პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში, პირველ სართულზე არსებული 40.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით, მოქალაქე თამარ მაჭარაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოხსენებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, **დაინტერესებული პირი ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 2011 წლიდან.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის და მისი ოჯახის წევრების **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მეორე პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში, რკინიგზის სადგური „ველის" მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2024 წლის 24 სექტემბერს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა და ითხოვა დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემა, **შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პოზიციების თანახმად, შესაძლებლად იქნა მიჩნეული მითითებული მიწის ნაკვეთის განკარგვა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ელვერ კუპატაძის I გასასვლელი N5-ში არსებული 1468 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2023 წლის 5 დეკემბერს, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წერილობით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა და ითხოვა დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემა, **შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პოზიციების თანახმად, შესაძლებლად იქნა მიჩნეული მითითებული მიწის ნაკვეთის განკარგვა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რკინის მასალების სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2025 წლის 12 მარტს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობამ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის 2025 წლის 24 თებერვლის წერილის გათვალისწინებით ითხოვა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის ტერიტორიაზე არსებული რეაბილიტირებული სპორტული მოედნებიდან მოძრავი ქონების - რკინის მასალების, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის განხილვა, სამგორის რაიონში, ორხევში მდებარე, მშენებარე მთავარანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის შემოღობვისთვის.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი შპს „ექსპერტ-აუდიტის" აუდიტორული დასკვნის თანახმად, **სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადასაცემი მოძრავი ქონების ღირებულება შეადგენს 25 200 ლარს.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **მოძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი.**
- **სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, საკუთარი ხარჯებით, უნდა განხორციელდეს გადასაცემი მოძრავი ქონების შესაბამისი ტერიტორიიდან გატანის უზრუნველყოფა, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.**

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობას წერილობითი განცხადებებით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა და ითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე დასაწყობებული, ჯამურად დაახლოებით 30-35 ტონა მოძრავი ქონების - შავი ლითონის ჯართის (რკინის მასალები) პირდაპირი განკარგვის წესით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემა, დაბა წყნეთში, ქეთევან წამებულის ქუჩა N8-ში მდებარე ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრისთვის ღობის მოსაწყობად და ქ. თბილისში, მინდელის ქუჩა N7ა-ში მდებარე, წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძრის დამხმარე ნაგებობის (სატრაპეზო) მშენებლობისა და ტაძრის შემოღობვისთვის.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის პოზიციის თანახმად, მის ტერიტორიაზე განთავსებული, ჯამში 35 ტონა მეორადი რკინის მასალის (ჯართი) ტაძრებისთვის გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით :

- საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური თანხა - 1 (ერთი) ლარი;
- ქონების შემძენის მიერ, საკუთარი ხარჯებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 35 ტონა ჯართის შესაბამისი ტერიტორიიდან გატანის უზრუნველყოფა, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში, მე-7 სართულზე არსებული 85.28 კვ.მ ფართობის N21 ბინის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე გიორგი ჩაჩანიძისთვის პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა კრწანისის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, **დაინტერესებული პირი ოჯახთან ერთად დაახლოებით 20 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება კრწანისის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის და მისი ოჯახის წევრების **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი და მეორე პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ეგრისის II შესახვევი N12-ში, პირველ სართულზე **არსებული 35.41 კვ.მ ფართის და 27.93 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების**

გზით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ელენე გაბრიჭიძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა საბურთალოს რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი **1978 წლიდან ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N2ა-ში, მე-11 სართულზე არსებული, 40.64 კვ.მ ფართობის N1116 ბინის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ჯაბა ბელქანიასთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ნამალადევის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი **ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე 2004 წლიდან.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმით;
- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის რეესტრის ცნობით, **დაინტერესებული პირის მიმართ რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტი არ დასტურდება;**

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი და მეორე პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე, **76.60 კვ.მ ფართობის N55 ბინის (მშენებარე),** ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე, **58.90 კვ.მ ფართობის N49 ბინის (მშენებარე)** და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9გ-ში მდებარე, **48.60 კვ.მ ფართობის N197 ბინის (მშენებარე)** მოქალაქე ქეთევან ჭანკვეტაძისთვის, გიორგი კალაძისა და ირაკლი კალაძისთვის **პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2023 წლის 27 ოქტომბერს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართეს **ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 105 კვ.მ. ფართის თანამესაკუთრებმა -** ქეთევან ჭანკვეტაძემ, გიორგი კალაძემ და ირაკლი კალაძემ და აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობის სანაცვლოდ, ითხოვეს ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების თანასაკუთრებაში გადაცემა.

როგორც სერგო ბირკაძემ აღნიშნა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ. ფართის** (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდიციით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით.** შესაბამისად, **მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 409 815 ლარის ოდენობით.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების **საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 189 968; 119 920 და 95 159 ლარის ოდენობით (ჯამურად: 405 047 ლარი).**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემას და **საპრივატიზებო პირობის სახით - მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვისა და საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით ა(ა)იპ „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) 2023 წლის 28 მარტის ბრძანებისა და თანდართული პირობების შესაბამისად, ა(ა)იპ „7X7 ფეხბურთის ასოციაციას“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა (სტადიონი), **ფეხბურთის მოედნის ფუნქციონირებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით 2 წლის ვადით.**

მომხსენებლის მითითებით, ორგანიზაციის პრეზიდენტმა წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურს და ითხოვა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით განმეორებით გადაცემა 10 წლის ვადით, **საინვესტიციო**

ვალდებულების, კერძოდ, 2030 წლის 31 დეკემბრამდე სხვადასხვა სამუშაოების წარმოებისთვის ჯამურად 325 000 ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით.

მომხსენებლისვე განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2025 წლის 8 აპრილის წერილის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ „7X7 ფეხბურთის ასოციაცია" ხსენებულ მოედანზე წლების განმავლობაში ატარებს არაერთ მასშტაბურ პროექტს, რომელთა განხორციელებაც მომავალშიც იგეგმება, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული მოედნის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 10 წლის ვადით გადაცემა. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის 2025 წლის 2 აპრილის წერილის თანახმად, ადმინისტრაციამ შესაძლებლად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი დემონტირებული მოძრავი ქონების ორგანიზაციისთვის სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემა, იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული მოძრავი ქონება გამოყენებული იქნება მიზნობრივად, მოედნის ტრიბუნების ტევადობის გაზრდისა და გადახურვის სამუშაოებისათვის.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა შემდეგი საინვესტიციო პირობების განხორციელების გათვალისწინებით:

- უძრავი ქონება უზუფრუქტუარს გადაეცემა ფეხბურთის მოედნის ფუნქციონირებისა და მოვლა-პატრონობის (საფეხბურთო მოედნის ტექნიკით აღჭურვისა და გაუმჯობესების) მიზნით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე ჯამურად არანაკლებ 290 000 ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით; მათ შორის:
- უზუფრუქტუარი ვალდებულია, შენობა-ნაგებობის (გასახდელებისა და სამუშაო სივრცის) რეკონსტრუქცია/გაფართოების მიზნით განახორციელოს არანაკლებ 40 000 ლარის ინვესტიცია;
- უზუფრუქტუარი ვალდებულია, 2028 წლის 31 დეკემბრამდე საფეხბურთო მოედნის გარე შემოღობვის სარეკონსტრუქციო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით განახორციელოს არანაკლებ 50 000 ლარის ინვესტიცია;
- უზუფრუქტუარი ვალდებულია, 2030 წლის 31 დეკემბრამდე საფეხბურთო მოედნის საფარის სრული გამოცვლის (არანაკლებ არსებული საფარის ხარისხის ეკვივალენტური ხარისხის ხელოვნური ხალიჩით) მიზნით განახორციელოს არანაკლებ 200 000 ლარის ინვესტიცია;
- მონათხოვრე ვალდებულია, უზრუნველყოს საფეხბურთო მოედნის ტრიბუნების ტევადობის გაზრდისა და გადახურვის სამუშაოებისთვის არანაკლებ 35 000 ლარის ოდენობის ხარჯის გაწევა, არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრამდე ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-2 და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, მოქალაქე მურატ მიგინეიშვილისთვის, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 13 მაისის ბრძანების საფუძველზე, დაინტერესებულ პირს მითითებული უძრავი ქონება გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 2024 წლის 29 სექტემბრამდე ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბის ფუნქციონირების მიზნით. ამასთან, მოცემულ მიწის ნაკვეთზე, დღევანდელი მდგომარეობით მოწყობილია დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბე.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 28 მარტის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025 წლის 27 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 288 ლარის ოდენობით.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- წლიური საიჯარო ქირის საფასური - 288 ლარი (ასევე იჯარის საგნის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით).

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირის მიმდებარედ** არსებული 4061 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთიდან **5 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** მოქალაქე დავით ბერულავასთვის **სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ შენარჩუნდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო/საქვეითო** სივრცე, **ხოლო ობიექტის ინვენტარი განთავსდება 5 მეტრი სიგანის მონაკვეთის მიღმა.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 28 მარტის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების **მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025 წლის 27 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1200 ლარით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 3 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1200 ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. **ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ**

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ (შემდგომში - „განაშენიანების რეგულირების წესები“) ცვლილების განხორციელებას.

მომხსენებლის განმარტებით, განაშენიანების რეგულირების წესების 16[1] მუხლის შესაბამისად, დადგენილია მაკომპენსირებელი ღონისძიებები საზოგადოებრივ-საქმიან ზონებში (სსზ-1; სსზ-2) სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით საცხოვრებელი ფუნქციის განთავსებისას, ხოლო აღნიშნული მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, მაკომპენსირებელი ღონისძიებები არ ვრცელდება კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე.

როგორც ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, **16[1] მუხლის მე-9 პუნქტი ამოღებულ იქნება,** ვინაიდან, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მიმდინარეობს დიდი მოცულობის ურბანული განაშენიანების პროექტების განვითარება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ფონდის შევსების მიზნით, რომელიც შემდგომში მოემსახურება მუნიციპალიტეტის სოციალურ მიზნებს, მიზანშეწონილია აღნიშნულ ზონებშიც გავრცელდეს საცხოვრებელი ფუნქციის ცვლილებისთვის (სსზ-1; სსზ-2) დაწესებული მაკომპენსირებელი ღონისძიებები.

მომხსენებლისვე მითითებით, განაშენიანების რეგულირების წესების **21-ე მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის 3[2] ქვეპუნქტი:**

„3[2]. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტება დასაშვებია მიწის ნაკვეთზე ნორმატიულად დადგენილი კოეფიციენტის არაუმეტეს ორმაგ ოდენობამდე“.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული ცვლილებით, **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით, კ-2 კოეფიციენტის გადამეტება დასაშვები გახდება იმგვარად, რომ მომატებულმა კოეფიციენტმა არ გადააჭარბოს მიწის ნაკვეთზე ნორმატიულად დადგენილი კოეფიციენტის ორმაგ ოდენობას.** წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, პრაქტიკაში არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფა.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, **დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველი მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ქალაქ თბილისი, **ნიკო კეცხოველის N58-ში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული 16 073 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ - 6),** ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული **განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლის 5[1] პუნქტის შესაბამისად,** ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები **(განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების სავალდებულო მოთხოვნა), არ გავრცელდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/გადაცემული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარი თანხმობის შემთხვევაში.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტით ხორციელდება 7000 მ² (0.7 ჰა) და მეტი ფართობის მქონე ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენება, თუმცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ითვალისწინებს **კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების დროულად დაკმაყოფილების მნიშვნელობას, ასევე, იმ გარემოებებს, რომ ტერიტორია ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით აკმაყოფილებს განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლით დადგენილ მიზნებს, იგი უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.** საპროექტო მიწის ნაკვეთზე **კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით, იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მათ შორის, გამწვანებული სივრცეებით.**

ნინო ბაგაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი არის ორი საკადასტრო ერთეულის გაერთიანების შედეგი, რომელთაგან ერთ-ერთზე **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოცემული აქვს 2024 წლის 16 აგვისტოს N426 განკარგულება,** რომლის თანახმადაც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დასაშვებად მიიჩნია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნინო ბაგაშვილმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საპროექტო მიწის ნაკვეთის ინდივიდუალურად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების გარეშე განვითარება და აღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა. **ამასთანავე, წარმოდგენილი პროექტით ძალადაკარგულად გამოცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს N426 განკარგულება.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. **ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით,** მისამართზე - ქალაქი თბილისი, **ქერჩის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 11418 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.1-დან კ-2=3.8-მდე, რაც გულისხმობს 3 (სამი) სართულის დამატებასა და ორი 15 (თხუთმეტი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).** ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N634 განკარგულებით დამტკიცებულია „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის N484 განკარგულებით დამტკიცებული **განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 15 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 10 361 735 ლარს,** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 31 მარტის წერილის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.1-დან 3.8-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 2 339 746.62 ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად,

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულისა და მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მათი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. **ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით,** მისამართზე - ქალაქი თბილისი, **დიმიტრი გულიას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 12 197 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=5.0-დან კ-2=5.6-მდე, რაც გულისხმობს „ა" ბლოკზე 1 (ერთი) სართულის დამატებასა და „ბ" ბლოკზე 5 (ხუთი) სართულის დამატებას და ორი 29 (ოცდაცხრა) სართულიანი შენობის განთავსებას.** ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).** ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის №351 განკარგულებით დამტკიცებულია „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლისა და გულიას ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური - საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №85 განკარგულებით დამტკიცებული **განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი (კ-2=5.0),** ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის

23 იანვრისა და 10 მარტის ბრძანებებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი (კ-2=5.0) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 4 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 24 809 263 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 11 აპრილის წერილის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 5.0-დან 5.6-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 2 977 111.56 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 11 აპრილის N25.611.682 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითების, ასევე განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, საირმეს ქ. N37, მუხაძის ქ. N4 და ი. აბაშიძის ქ. N55-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მოქალაქე ნიკოლოზ მიქიაშვილისთვის 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით კომპენსაციის მიცემას, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა იმ სამართლებრივ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მომზადებას და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიამ (შემდგომში - „კომისია“) წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით მხარდამჭერ

ღონისძიებებთან დაკავშირებით (კომისიის ოქმი N19; 26.12.2023წ). აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ (განკარგულება N23.2153.2405, 27.12.2023წ) და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკარგულება N641, 28.12.2023წ). **ამასთანავე, აღნიშნულ გადაწყვეტილებებში შემდგომში დაზუსტდა შესაბამის პირთა (დაზარალებულთა) მონაცემები.**

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ზემოაღნიშნული დაზარალებული პირის მიმართ დგინდება შემდეგი:

- ნიკოლოზ მიქიაშვილმა 2014 წლის 16 მაისს, შპს „საინვესტიციო-დეველოპერულ კომპანია ათორთან" გააფორმა უძრავი ნივთის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, (ასევე აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მან და მისმა მეზობლებმა ბესიკ თხელიძეს მისცეს მათ საკუთრებაში არსებული ცაგარელის N82-ში მდებარე სახლის დანგრევის უფლება ნიკოლოზ მიქიაშვილის საკუთრებას წარმოადგენდა 250 კვადრატული მეტრი). ხელშეკრულების თანახმად, ბესიკ თხელიძეს მისთვის ჯამში უნდა გადაეცა 306 კვ.მ. აქედან ბურძგლას ქუჩა N12-ში 96 კვ.მ ფართობის საცხოვრებელი ბინა და იმავე მისამართზე ერთი ავტოსადგომი, ცაგარელის ქ. N82-ში 90 კვ.მ და 120 კვ.მ ფართობის ორი საცხოვრებელი ბინა (ჯამში 210 კვ.მ) და ამავე მისამართზე 1 ავტოსადგომი და 1 სასაწყობე ფართი.
- 2014 წლის 12 აგვისტოს დაზარალებულმა პირმა კვლავ გააფორმა ახალი ხელშეკრულება და შეიძინა 51.2 კვ.მ საცხოვრებელი ბინა და ერთი ავტოსადგომი, გადაიხადა 39 840 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. ნიკოლოზ მიქიაშვილს საკუთრებაში მიღებული არ აქვს მხოლოდ აბაშიძის ქუჩა N55-ში 80 კვ.მ ფართი, რომელიც ბესიკ თხელიძემ გაუზარდა 104 კვ.მ-მდე თავისი ავტოსადგომით. ასევე ბურძგლას ქუჩა N12-ში 96 კვ.მ ბინა ბესიკ თხელიძემ უკან გადააფორმებინა თაღლითურად, ვინაიდან სჭირდებოდა ფული აბაშიძის ობიექტის ასაშენებლად.
- **თბილისის პროკურატურის მიერ 2024 წლის 20 დეკემბერსა და 2025 წლის 8 აპრილს წარმოდგენილი დაზუსტებული განმარტების თანახმად: „ნიკოლოზ მიქიაშვილისთვის მიყენებული ზიანი, რაც არ აქვს მიღებული, არის ქ. თბილისში, ცაგარელის ქუჩა N58-ში მდებარე ერთი ავტოსადგომი, რისთვისაც გადახდილი აქვს 5000 ლარი, ქ. თბილისში, აბაშიძის ქუჩა N55-ში მდებარე 80 კვ.მ ბინა (ბესიკ თხელიძემ გაზარდა 104 კვ. მეტრამდე) და ავტოსადგომი, რაც ბესიკ თხელიძეს უნდა გადაეცა ქ. თბილისში, ცაგარელის ქუჩა N82-ში მისაღები ფართისა და ავტოსადგომის სანაცვლოდ".**

ნინო ვარდოსანიძის მითითებით, აღნიშნულთან დაკავშირებით თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილ იქნა **სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლითაც განსაზღვრულია ზემოაღნიშნული შეუსრულებელი ვალდებულების გამო ნიკოლოზ მიქიაშვილის მიმართ თანხის სახით გასაცემი კომპენსაცია.** საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და ხსენებული დასკვნის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით (N25.155.178; 10.02.2025წ) **უკვე შესრულებულია ნიკოლოზ მიქიაშვილის მიმართ თანხის სახით ვალდებულება 72 930 აშშ დოლარის ოდენობით** (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, გადარიცხვის დღეს არსებული, ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში). **ზემოაღნიშნული კომპენსაცია გაცემულ იქნა ნიკოლოზ მიქიაშვილის მიმართ ფართის სახით შესასრულებელი ვალდებულებების (ქ. თბილისში, ცაგარელის ქუჩა N58-ში მდებარე ერთი ავტოსადგომი, ქ. თბილისში, აბაშიძის ქუჩა N55-ში მდებარე 80 კვ.მ ბინა და ერთი ავტოსადგომი) ფარგლებში.**

კომისიის თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებული დამატებითი, დაზუსტებული ინფორმაციით (08.04.2025წ), მისამართზე - ქ. თბილისი, ბურძგლას

ქუჩა N12-ში არსებული უძრავი ქონება - ბინა (96 კვ.მ) ბესიკ თხელიძემ ნიკოლოზ მიქიაშვილს გადააფორმებინა თაღლითურად. აღნიშნული უძრავი ქონება ბესიკ თხელიძის მიერ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაიტვირთა იპოთეკით, რითაც ნიკოლოზ მიქიაშვილს მიადგა ზიანი 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. ამასთან, ნიკოლოზ მიქიაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომლითაც იგი აცხადებს და ადასტურებს, რომ აღნიშნული თანხის (100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში) მიღების შემთხვევაში, არც ახლა და არც მომავალში, არ ექნება პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორის" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და კომისიის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია, მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, დაზარალებული პირის მიმართ გამოყენებული იქნეს საჭირო ხელშემწყობი ღონისძიება, კერძოდ, მის მიერ მითითებულ საბანაკო ანგარიშზე გადარიცხულ იქნეს კომპენსაცია 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პრეამბულისა და მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მათი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ნ. ვარდოსანიძე	ნინო ვარდოსანიძე
სხდომის მდივანი	ნ. დანელიშვილი	ნინო დანელიშვილი